ა) პროგრამის სახელწოდება

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)
Psychological Anthropology (interdisciplinary)

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი
MSc in Psychological Anthropology

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით - ***120 კრედიტი***

დ) სწავლების ენა - ***ქართული***

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ***მიზანი***:

სამაგისტრო პროგრამის – ***"ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია"*** - შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების - „კულტურა და საზოგადოება -ინტერდისციპლინური კვლევები", "კულტურა სოციალურ კვლევებში" და „ანთროპოლოგია: ინტერდისციპლინური კვლევები" - ფუნქციონირება. მათ მოამზადეს ბაზა წინამდებარე პროგრამის შესაქმნელად.

<u>პროგრამის **აქტუალობა და მიზანი:**</u>

პროგრამის ***აქტუალობას*** განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები და სამეცნიერო ტენდენციები. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში აშკარაა „ანთროპოლოგიური შემობრუნება", კაცობრიობის ცნობიერების სისტემურ-პარადიგმული პრიორიტეტები ადამიანს უკავშირდება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო აქტივობის პლანში. პარადიგმის ცვლილებას ათვალსაჩინოვებს არა მხოლოდ ახალი „ანთროპოლოგიების" სიმრავლე თუ გაჩენის სიადვილე, საზოგადოდ, ამ ცნების „მოდურობა" სამეცნიერო ცნობიერებაში, არამედ კონცეპტუალური საყრდენების ვექტორის შეცვლაც: ორიენტაცია უპიროვნო „სტრუქტურებზე", „ტოპიკებსა" და „ინტერტექსტუალობაზე" იცვლება „სუბიექტურობაზე", „აქტიურ ინდივიდზე", „ავტორობაზე" შემობრუნებით. შესაბამისად, პრიორიტეტული ხდება ადამიანის მიერ აღქმადი და სიმბოლურად თუ მატერიალურად ქმნადი ყოფიერების კვლევა, ყოველდღიური ცნობიერების რეალური შინაარსები, ფსიქოლოგიური განწყობები, აღქმის სტერეოტიპები, ქცევის მოდელები, ჩვევები, მოთხოვნილებები, სოციალურ ჯგუფებს შორის კულტურულ-სპეციფიკური, ისტორიული, სოციოეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური ტერმინებით ინტერპრეტირებულ განსხვავებათა ახსნის ამოცანები, ღირებულებით სისტემათა კულტურული მრავალგვარობა და მათი მოდიფიკაცია ყოველდღიური გამოცდილების გავლენით და ა.შ. საზოგადოდ, „ინდივიდთა ურთიერთქმედების ქსელების, ინდივიდუალური გამოცდილების სივრციდან" ადამიანის მიერ სამყაროს კონსტრუირების პროცესები.

თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების გათვალისწინებით, პროგრამა იზიარებს და ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან კონცეპტუალურ პრინციპებს:

- ***ანთროპოლოგიის ცნების ფართო გაგებას,*** რომლის თანახმად, ანთროპოლოგია არის „ადამიანური არსებების ინტეგრალური შესწავლა ყველგან და ყველა დროში“. ანთროპოლოგია - ესაა ორიენტაცია ადამიანზე, როგორც ბიო-სოციო-კულტურულ სისტემურ მთლიანობაზე.

- ანთროპოლოგიის გაგებას არა უნივერსალისტური ტიპის სისტემატურ თეორიად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ***მეთოდოლოგიად,*** „კომენტარიის უნივერსალურ ტიპად“. ამ თვალსაზრისით, ანთროპოლოგია მოიაზრება მიდგომად, მთლიანობით ორიენტირად, განხილვის გარკვეულ წესად.

- ***„ინტერდისციპლინური სინთეზის“ თანამედროვე გაგებას.*** “ადამიანური განზომილების” პრინციპის აქტუალიზებას თან სდევს სოციოჰუმანიტარული პარადიგმების მიზანმიმართული ინტეგრირების პროცესი. ამ კონტექსტში „ინტერდისციპლინური სინთეზი“ მოიაზრებს არა უნიფიცირებად და ერთიან დისკურსზე დაყვანად კვლევის შედეგებს, არამედ შესასწავლ ობიექტთა შესახებ კარგად დასაბუთებული, მრავალფეროვანი „კომენტარების“ სინთეზურ ერთიანობას, რომელიც ყოველი დისციპლინის ფარგლებში, დისციპლინური ტრადიციის შესაბამისად ხორციელდება გარკვეული პრობლემატიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, კონცეპტუალურ ინსტრუმენტარიაზე დაყრდნობით.

- ***ისტორიულობის პრინციპს.*** ისტორიულობა ადამიანისა და საზოგადოდ „ადამიანურის“ აუცილებელი ატრიბუტია. შესაბამისად, ისტორიულ-კულტურულ-სოციალურ კონტექსტში მოიაზრება არა მხოლოდ განხილვის ობიექტი (ადამიანი), არამედ კვლევის კატეგორიალური და მეთოდოლოგიური საშუალებებიც, როგორც დაქვემდებარებული დროით და სოციოკულტურულ კონტექსტურ გავლენებზე.

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამეცნიერო სივრცე რთული ინტერდისციპლინური პრობლემების, აგრეთვე, რამდენიმე დამოუკიდებელი დისციპლინის ინტეგრირებას ახდენს (კოგნიტური და სხვა ანთროპოლოგიები, კულტურული ფსიქოლოგია, კროსკულტურული ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და სხვ. თუმცა ეს განსხვავებები უფრო პირობითია, ვიდრე მკაცრი). ახალ სამეცნიერო კონტექსტში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია ორიენტირებულია, ერთი მხრივ, კულტურულ მნიშვნელობათა ფსიქოლოგიური მიზეზებისა და შედეგების, მეორე მხრივ, ობიექტური კულტურისა და მენტალური მნიშვნელობების ურთიერთკავშირის შესწავლაზე. მისი წამყვანი კომპონენტია კულტურული და ფსიქიკური პროცესების ურთიერთქმედება.

ამგვარად, სამაგისტრო პროგრამის ***<u>მიზანია</u>*** სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური თემატიკა, ინტეგრალური ცოდნა და კვლევის პრობლემები იმ სტრატეგიათა შესახებ, რომლებითაც პიროვნება, ემოციები და სუბიექტურობა ყალიბდება კულტურული პრაქტიკების მეშვეობით. პროგრამის უმთავრესი ორიენტირია ადამიანური გამოცდილების კულტურულ ასპექტებზე დაყრდნობით ანთროპოლოგიური თვალთახედვის ჩამოყალიბება.

პროგრამის მეორე ***პრიორიტეტია*** მეთოდოლოგიის სფერო. კერძოდ, ანთროპოლოგიური კვლევის ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გააზრება პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლესი ემპირიულ/კვლევითი სტრატეგიების კრიტიკული სწავლება, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლება; კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების,

ტექსტური და სტატისტიკური ანალიზის/ინტერპრეტაციის სწავლება, აგრეთვე, ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია მაგისტრ-სტუდენტებში ***ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარება*** მომიჯნავე დარგებთან - ფილოსოფიურ და სხვა ანთროპოლოგიებთან, ლინგვისტიკასთან, ისტორიასთან, ეთნოლოგიასთან, სოციოლოგიასთან კავშირის სიღრმისეული გააზრების ბაზაზე. პროგრამა ორიენტირებულია წაახალისოს სტუდენტები საზოგადოდ ანთროპოლოგიური პრობლემების, მათ შორის, არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი მიდგომებისადმი შემოქმედებით ხედვაში. პროგრამა სპეციალურ ყურადღებას დაუთმობს ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა კონტექსტში საქმიანობას განწყობის თეორიის შემდგომი დამუშავების მიზნით.

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია მაგისტრ-სტუდენტებში შემეცნებითი და გამოყენებითი პლანის ინტერესების, განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტაციის აქტუალიზებაზე, მათ დაინტერესებაზე რეალური კვლევებით საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონში.

ვ) <u>**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**</u>

- ✓ პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი;

- ✓ პროფესიის გამოცვლის მსურველ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო, ზუსტი (ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა), ტექნიკური მეცნიერებებისა და მენეჯმენტის სფეროებში;

- ✓ პროგრამა ღიაა ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებისთვის, ვინც დაინტერესებულია რომელიმე კონკრეტული სფეროს (მასმედია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალი და ა.შ.) ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტებით;

- ✓ პროგრამა ასევე ღიაა 2010/11 წლის (პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი) ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე ***ხუთწლიანი სწავლების დიპლომის*** მქონე პირებისთვის.

მსურველთა ასაკი შემოისაზღვრება საერთო-საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება.

ჩარიცხვა იწარმოებს სპეციალობაში დაწერილი ესესა და გასაუბრების საფუძველზე.

ზ) <u>**სწავლის შედეგი:**</u>

პროგრამული სწავლება მოიაზრებს პირველ საფეხურზე მიღებული განათლების გაღრმავებასა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო იდეების რეალიზაციის შესაძლებლობას. **სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს** ექნებათ:

ცოდნა და გაცნობიერება - ტრადიციული და თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, თეორიულ მოდელებს, აგრეთვე, სემიოტიკის თეორიულ და მეთოდოლოგიურ თავისებურებებს; კურსდამთავრებულებს ექნებათ უახლესი ინფორმაცია მნიშვნელოვან სამეცნიერო თემებზე, როგორიცაა: კულტურული მოდელები, როგორც მენტალური კომპლექსები, მათი დადგინება და ამ პროცესში ფსიქიკური პროცესების (შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციების) კულტურული გაგების როლი; სოციალიზაციის კულტურულ-სპეციფიკური მოდელები და მათი ეფექტები; განვითარებისა და ინკულტურაციის გზები, ადამიანური შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფორმირების პროცესები, კულტურული მსგავსება/განსხვავებების მრავალფეროვანი (მენტალური, სემიოტიკური, ლინგვისტური და ა.შ.) მახასიათებლების აღმწერი შესაძლებლობები, საზოგადოდ, ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტების ფორმირების პროცესები თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში; ექნებათ ცოდნა ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების, კვლევის მეთოდებსა და ანალიზთან დაკავშირებული სპეციალური საკითხების შესახებ. ეს ცოდნა კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერების საშუალებას; სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპების რეფლექსირება; აკადემიური სამეცნიერო ჟურნალისთვის სტატიის დაწერა და პროექტის მომზადება სამეცნიერო პრობლემებისა და პერსპექტივების კონტექსტში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -

<u>კონსულტირება და დაგეგმვა:</u>

წვლილის შეტანა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზსა და სტრატეგიული პროექტების დაგეგმვაში, დამსაქმებელთა კონსულტირება.

<u>კვლევითი უნარები:</u>

ფსიქოანთროპოლოგიურ მახასიათებელთა ადეკვატურად გამოყენება კვლევის მონაცემთა ანალიზისას.
ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა საკვლევად ადეკვატური პრინციპების საფუძველზე მეთოდების შერჩევა/გამოყენება, კვლევის დაგეგმვა;
კვლევით მოპოვებული მასალის ტექსტური და მათემატიკური ანალიზი.
კვლევის წარმართვა.
კვლევითი პროდუქციის (პროექტების) წარმოება და სრულყოფილი სახით წარდგენა.
შეუძლია აკადემიური სამეცნიერო ჟურნალისთვის სტატიის დაწერა და პროექტის მომზადება.

დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი - დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების, არგუმენტაციის, დასკვნებისა და კვლევის შედეგების საჯარო წარდგენის;
აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე კორექტული კომუნიკაციის აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და მიღწევათა გათვალისწინებით;
არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირებისა წერილობითი და ვერბალური ფორმით;

გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის, პასუხისმგებლობის განაწილების.

სწავლის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის, აგრეთვე, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის.

ღირებულებები: პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე:

- პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების მზაობა, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გათვალისწინება;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა;
- აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ ***ზოგადი*** (ტრანსფერული) -აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენის - უნარები.

მრავალგვარი სოციოკულტურული სფეროს კვლევა/პროგნოზირების მოთხოვნილების არსებობის პირობებში კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. შესაბამისად, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა ***კომპეტენცია*** მოიცავს ისტორიის, ენის, პრაქტიკებისა და კონცეპტუალური კატეგორიების მქონე კულტურულ ჯგუფთა სპეციფიკური თავისებურებების დადგენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზს, მონაწილეობას ანთროპოლოგიური სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციოკულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შემსწავლელ კვლევებში, აგრეთვე, მათ უზრუნველყოფას რეალისტური და სიღრმისეული კონსულტაციებით.

კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი ჩვევების გამოყენება შესაძლებელია მრავალგვარ სფეროში (ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, განათლება, განვითარება, სოციალური მუშაობა, მენეჯმენტი და სხვ.).

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება საუკეთესო ბაზა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლის დამოუკიდებლად გასაგრძელებლად.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის <u>მეთოდები</u> ასახულია სილაბუსებში (იხ. დანართი 1)

ი) <u>სამაგისტრო შრომის დაცვა.</u>

შეფასების კრიტერიუმები:

სამაგისტრო შრომის დაცვა ფასდება 100 ბალიან სკალაზე, აქედან:

1. რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა
2. ხელმძღვანელის შეფასება – 20 ქულა
3. პრეზენტაციის შეფასება – 30 ქულა

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- ✓ *საპრეზენტაციო ტექსტის სტრუქტურა - 7*
- ✓ *მოსაზრებათა არგუმენტირებულად გადმოცემა -10*
- ✓ *კვლევის მიზნებისა და შედეგების/დასკვნების შესაბამისობა - 8*
- ✓ *რეგლამენტირებულობა მოთხოვნების შესაბამისად (12-15 წთ), ენობრივი გამართულობა -5*

კ) სასწავლო გეგმა.

<u>სწავლების ორგანიზება</u>

პროგრამა მოიცავს პროგრამისთვის სავალდებულო და არჩევით კურსებს. თავის მხრივ, არჩევითი კურსები წარმოდგენილია კურსების სამი კატეგორიით: სფეროსთვის სპეციფიკური კურსებით, კვლევითი კომპონენტის ამსახველი კურსებით და კურსებით მომიჯნავე სამეცნიერო სფეროებიდან. სავალდებულო კურსები წარმოდგენილია 3 თეორიული და 2 კვლევითი კომპონენტის ამსახველი კურსებით.
პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტებს მიეწოდება 2 სავალდებულო 5 კრედიტიანი კურსი, დანარჩენ 20 კრედიტს სტუდენტი ავსებს არჩევითი კურსებიდან, მესამე სემესტრში მიეწოდება 5 კრედიტიანი 1 სავალდებულო კურსი, ხოლო დანარჩენ 25 კრედიტს ავსებს 8 არჩევითი კურსიდან.

ყველა სალექციო კურსი 5 კრედიტიანია. ამგვარად, პროგრამისთვის სავალდებულო კურსები ფარავს 25 კრედიტს, არჩევითი კურსები ფარავს 65 კრედიტს, სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი. სულ - 120 კრედიტი.

პროგრამისთვის სავალდებულო- 25 კრედიტი
ანთროპოლოგიური სკოლები (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია" ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური პრობლემები
კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია
თვისებრივი კვლევა. ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკა.

<u>სფეროსთვის სპეციფიკური</u> :
ფილოსოფიური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "ფილოსოფია". ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „ეთნოლოგია", ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ძალადობის ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია"ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ლინგვისტური ანთროპოლოგია
ვიზუალური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული დ ა სოციალური ანთროპოლოგია"ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ეკონომიკური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული დ ა სოციალური ანთროპოლოგია"ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
პიროვნების მოდელები ანთროპოლოგიურ კონტექსტში
კულტურული ფსიქოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია")
ემოცია და კულტურა
კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები.

<u>კვლევითი კომპონენტის ამსახველი:</u>
სტატისტიკის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში
სკალირების მეთოდი (დამოკიდებულებების გაზომვის ტექნიკები) (სამაგისტრო პროგრამიდან „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია")
კულტურის სემიოტიკა
პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე) (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია")
ფსიქომეტრია (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია")
კვლევითი პროექტი (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია")

<u>მომიჯნავე სფეროებიდან:</u>
სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები) (სამაგისტრო პროგრამიდან „ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია“)
პოსტმოდერნული სოციალური თეორიები (სამაგისტრო პროგრამიდან: (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციოლოგია“)
სოციოლინგვისტიკა (სამაგისტრო პროგრამიდან: „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება“, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)
კულტურა "ანალების სკოლის" კვლევებში
სუბკულტურები - თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები
ნორმატიული და დევიაციური აქტივობის ფსიქოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)
კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში
განვითარების ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია
კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები (სამაგისტრო პროგრამიდან ”ფილოსოფია“. ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)

სემესტრული განაწილება

სემესტრი I - 11 კურსი, სავალდებულო 2, არჩევითი 9

სავალდებულო კურსები:
ანთროპოლოგიური სკოლები (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია” ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია.

არჩევითი კურსები:
<u>სფეროსთვის სპეციფიკური</u> :
ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „ეთნოლოგია“, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ძალადობის ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია”ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
პიროვნების მოდელები ანთროპოლოგიურ კონტექსტში
განვითარების ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია
კულტურული ფსიქოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)

<u>კვლევითი კომპონენტის ამსახველი:</u>
სტატისტიკის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში
სკალირების მეთოდი
<u>მომიჯნავე სფეროებიდან:</u>
კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში (სამაგისტრო პროგრამიდან „კულტურის და მედიის სოციოლოგია“, სოც. და პოლიტ.მეცნ. ფაკულტეტი)
კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები (სამაგისტრო პროგრამიდან ”ფილოსოფია“. ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)

სემესტრი II - 11 კურსი, სავალდებულო 2, არჩევითი 9
სავალდებულო კურსები:
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია
თვისებრივი კვლევა. ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკა.

არჩევითი კურსები:
<u>სფეროსთვის სპეციფიკური:</u>
ვიზუალური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია”ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
ეკონომიკური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია” ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
<u>კვლევითი კომპონენტის ამსახველი:</u>
კვლევითი პროექტი (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)
<u>მომიჯნავე სფეროებიდან:</u>
სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები) (სამაგისტრო პროგრამიდან „კულტურის და მედიის სოციოლოგია“, სოც. და პოლიტ.მეცნ. ფაკულტეტი)
პოსტმოდერნული სოციალური თეორიები (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციოლოგია“, სოც. და პოლიტ.მეცნ. ფაკულტეტი)
სოციოლინგვისტიკა (სამაგისტრო პროგრამიდან: „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება“, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)
ნორმატიული და დევიაციური აქტივობის ფსიქოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“)

III სემესტრი - 9 კურსი, სავალდებულო 1, არჩევითი 8
სავალდებულო კურსები:
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური პრობლემები.

არჩევითი კურსები:

<u>სფეროსთვის სპეციფიკური:</u>
ემოცია და კულტურა
კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები
ლინგვისტური ანთროპოლოგია
<u>კვლევითი კომპონენტის ამსახველი:</u>
პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე) (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“)
ფსიქომეტრია (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“)

მომიჯნავე სფეროებიდან:
სუბკულტურები - თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები (სამაგისტრო პროგრამიდან „კულტურის და მედიის სოციოლოგია“, სოც. და პოლიტ.მეცნ. ფაკულტეტი)
კულტურის სემიოტიკა (სამაგისტრო პროგრამიდან „კულტურის და მედიის სოციოლოგია“, სოც. და პოლიტ.მეცნ. ფაკულტეტი)
კულტურა "ანალების სკოლის" კვლევებში

ლ) <u>**პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი**</u>

ლალი სურმანიძე
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ასოცირებული პროფესორი
(იხ. დანართი 1, CV)

მ) <u>**დასაქმების სფეროები:**</u>

- ✓ შედარებითი ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ცენტრები (როგორც სამეცნიერო, ისე გამოყენებითი).
- ✓ როგორც სოციოჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ადამიანის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
- ✓ კულტურისა და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო ორგანიზაციები ან მათი განყოფილებები;
- ✓ სასწავლებლები, სადაც არსებობს ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალობები, ან არსებობს მათზე მოთხოვნილება;

- ✓ სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას;

- ✓ სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები/ცენტრები (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები), რომელთა ინტერესი მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ანალიზს ფსიქოანთროპოლოგიური კვლევითი მონაცემების გამოყენებით (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.);

- ✓ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მოთხოვნილება ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევით მონაცემებზე;

- ✓ ეთნიკური კონფლიქტების რეგულირებასთან დაკავშირებული სამთავრობო და არასამთავრობო, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები;

- ✓ მასობრივი მედიის საშუალებები;

- ✓ ტურისტული სააგენტოები.

ნ) **<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>** პროგრამაზე სწავლის დაწყება რეკომენდებულია როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო სემესტრში; შეუძლია მოემსახუროს 8 სტუდენტს.

ო) **<u>პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.</u>**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიმართულებების რესურს-ცენტრები და ბიბლიოთეკები, აგრეთვე, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, არსებული კომპიუტერული ბაზა და ელექტრონული რესურსები.<u>მომზადების პროცესშია პროექტები სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად.</u>

<u>პროგრამის ანალოგები:</u>
University of California, San Diego
<u>Psychological Anthropology at UCSD</u>
<u>http://anthropology.ucsd.edu/Divisions/psych_anth.html</u>

Emory University
Emory College of Arts and Sciences
Department of Anthropology
Psychological and Cognitive Anthropology

http://anthropology.emory.edu/home//about/specialization/psychological.html

University of Chicago

Department of Comparative Human Development

- *Cultural Psychology and Psychological Anthropology*
- *Health, Culture and Mental Health*
- *Language, Communication and Cognition*

http://humdev.uchicago.edu/graduate/programs.shtml

Brunel University, West London
MSc program in psychological and psychiatric anthropology
http://www.brunel.ac.uk/courses/postgraduate/psychological-and-psychiatric-anthropology-msc

LSE -London school of economics and politicals sciense

- MSc in Anthropology and Development

http://www2.lse.ac.uk/anthropology/degree_programmes/mscanthdev.aspx

Department of Anthropology

- MSc in Social Anthropology (Learning and Cognition)

http://www2.lse.ac.uk/anthropology/degree_programmes/MScSocAnthLearnCogn.aspx

დანართები:

2. პროგრამის სილაბუსები (იხ. დანართი 1);
3. პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (იხ. დანართი 2, CV);
4. პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის სხდომის გადაწყვეტილების ოქმი (იხ. დანართი 3).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:**კოგნიტური და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ლალი სურმანიძე, პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
ცვლილება: დადგენილება 199/2018 13.09.2018

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)									
პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი (ECTS) არჩევითი კურსები –60 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/რაქტიკა			შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო კურსები								
1	ანთროპოლოგიური თეორიები	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	1		ქეთევან ხუციშვილი
2	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	1		ლალი სურმანიძე
3	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ლალი სურმანიძე
4	თვისებრივი კვლევა. ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკა.	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ლალი სურმანიძე
5	სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპები1	3	9	9	57	წინაპირობის გარეშე	3		ლალი სურმანიძე

6	სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპები 2	2	6	6	38	წინაპირობის გარეშე	3		ვლადიმერ გამსახურდია
7	კულტურული კოგნიცია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		დიმიტრი ჩუბინიძე
	არჩევითი კურსები								
8	ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1		ქეთევან მანჯგალაძე
9	ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „ეთნოლოგია“, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	1		ლია ბითაძე
10	ძალადობის ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია”ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	1		ქეთევან ხუციშვილი
11	პიროვნების მოდელები ანთროპოლოგიურ კონტექსტში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1		ირინე ჟვანია
12	სკალირების მეთოდი (დამოკიდებულებების გაზომვის ტექნიკები)	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	1		რევაზ ჯორბენაძე
12	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1		ლია წულაძე
13	ვიზუალური ანთროპოლოგია(სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია”ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		2	ქეთევან ხუციშვილი
14	ეკონომიკური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან ”კულტურული დ ა სოციალური ანთროპოლოგია”ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		2	ქეთევან ხუციშვილი თეა ქამუშაძე
15	SPSS-ის კურსი მაგისტრატურის სტუდენტებისთვის	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	ცისანა ხუნდაძე
16	კულტურის სემიოტიკა	5	15	15	95	კულტურა და	3		ლია წულაძე

						სოციალური კვლევის მეთოდოლოგია			
17	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	~ ამირან ბერძენიშვილი
18	პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	იაგო კაჭკაჭიშვილი
19	სოციოლინგვისტიკა (სამაგისტრო პროგრამიდან: „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება“, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე		2	თინათინ ბოლქვაძე
20	განწყობის თეორია თანამედროვე მეცნიერების კონტექსტში (სამაგისტრო პროგრამიდან „იურიდიული ფსიქოლოგია“)	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ვახტანგ ნადარეიშვილი
21	ემოცია და კულტურა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		თამარ აბაშიძე
22	პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე) (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		სოფიო დოლიძე
23	ფსიქომეტრია (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“)	5	10	20	95	წინაპირობის გარეშე	3		იამზე კუტალაძე
24	სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი (სამაგისტრო პროგრამიდან „იურიდიული ფსიქოლოგია“)	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ვახტანგ ნადარეიშვილი
25	ლინგვისტური ანთროპოლოგია	5	15	15	95	ანთროპოლოგიური თეორიები	3		ლია წულაძე

26	კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები.	5	15	15	95	რომელიმე საბაზისო კურსი: სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტურის სოციოლოგიის, კულტურის ფილოსოფიის, კულტურის ისტორიის; სტუდენტი უნდა იცნობდეს სტატისტიკას და ემპირიული კვლევის მეთოდებს.	3		ლალი სურმანიძე
27	სუბკულტურები- თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		ლია წულაძე
28	კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	1		აკაკი ყულიჯანაშვილი
29	დიალოგური სელფის თეორიის საფუძვლები	5	14	16	95	წინაპირობის გარეშე		2	ვლადიმერ გამსახურდია
30	ფსიქოანალიზი და კულტურა	5	16	14	95	ინგლისური ენის ცოდნა B2.	3		მარინე ჩიტაშვილი
31	სამაგისტრო შრომის მომზადება	**30**							

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი